RTC სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯსა

და

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიას

შორის

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯსა და სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიას შორის

ქ. გორი „10" „ივნისი" 2019 წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ **სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი** (შემდგომში - კოლეჯი) წარმოდგენილი მისი დირექტორის, **მანანა მოისწრაფიშვილის** სახით და მეორეს მხრივ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია (შემდგომში - აკადემია) წარმოდგენილი მისი რექტორის მოვალეობის შემსრულებლის **მამია ბალახაძის** სახით, ისწრაფვიანრა ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცებისკენ, კეთილი ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე გამოთქვამენ მზადყოფნას ამ მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის თაობაზე და თანხმდებიან შემდეგზე:

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია ამ დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისთვის მხარეებს შორის ურთიერთგაგების, კეთილსინდისიერებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა.

2. მემორანდუმის მიზანი

მემორანდუმის მიზანია მხარეთა საერთო ინტერესების სფეროში შემავალ აქტუალურ საკითხებზე თანამშრომლობა ერთობლივი სასწავლო, საგანმანათლებლო, კვლევითი პროექტების განხორციელების, რესურსების (მათ შორის, ინტელექტუალური) გაზიარებისა და მაღალი კომპეტენციის მქონე კადრების მომზადების ხელშეწყობის გზით.

3. მემორანდუმის ამოცანები

მემორანდუმის ამოცანებია:

3.1. ორივე მხარისათვის მნიშვნელოვან, სხვადასხვა აქტუალურ თემებზე/საკითხებზე ერთობლივი სამუშაო შეხვედრების, სემინარების, კონფერენციების, ტრენინგების, საჯარო ლექციების ორგანიზება, საერთო ინტერესების სფეროში შემავალი სასწავლო, საგანმანათლებლო, კვლევითი პროექტების განხორციელება.

3.2. მასწავლებლების/პროფესიული მასწავლებლების, სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების, ტრენერების, ექსპერტებისა და მხარეთა სხვა ანალიტიკური წარმომადგენლების ჩართვის უზრუნველყოფა მხარეთა მიერ ორგანიზებულ სასწავლო პროგრამებსა და საგანმანათლებლო და კვლევით პროექტებში.

3.3. ორმხრივი ინტერესის შემთხვევაში, ერთობლივი სასწავლო სახელმძღვანელოებისა და სხვა სახის პუბლიკაციების მომზადებასა და გამოქვეყნებაში მონაწილეობა.

3.4. თანამშრომლების პროფესიულ მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლების პროცესში მხარდაჭერა.
3.5. თანამშრომლობა ინჟინერიის და ტექნიკის სფეროს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში.
3.6. განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროებში გამოცდილების გაზიარება.
3.7. სხვა ღონისძიებების განხორციელება მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობის მიზნების მისაღწევად.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. მხარეებს უფლება აქვთ ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებისა და ერთობლივი პროექტების განხორციელებისათვის გამოიყენონ მეორე მხარის კუთვნილი რესურსები კონკრეტული ღონისძიებისა თუ პროექტის მიზნების რეალიზაციისათვის.
4.2. მხარეები უფლებამოსილნი არიან, ორმხრივი თანხმობის საფუძველზე გამოიყენონ მეორე მხარის სარგებლობაში არსებული მემორანდუმის საგანთან დაკავშირებული ბეჭდური ან/და ელექტრონული გამოცემების ეგზემპლარები.
4.3. მხარეები იღებენ ვალდებულებას, მემორანდუმით გათვალისწინებული საქმიანობა წარმართონ ურთიერთშეთანხმებისა და კოორდინაციის პრინციპებზე დაყრდნობით.
4.4. მხარეები იღებენ ვალდებულებას, მემორანდუმის ფარგლებში საქმიანობების განხორციელებისას შეუთანხმონ ერთმანეთს ნებისმიერი პირობები, რომელიც შეიძლება შეეხოს მეორე მხარის კანონიერ ინტერესებს.

5. მემორანდუმის მოქმედების ვადა

5.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.
5.2. წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით შედგენილი, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი შეთანხმების გაფორმების გზით.
5.3. ხელშეკრულების თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ აცნობოს სულ ცოტა ერთი თვით ადრე მაინც.
5.4. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ რომელიმე მხარე გაფრთხილების მიუხედავად არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას.

6. ფორსმაჟორი

6.1. მხარე, რომელსაც ფორსმაჟორული გარემოებების გამო, ხელი შეეშლება თავისი ვალდებულებების შესრულებაში, არ უნდა იქნას განხილული ამ ვალდებულებების დამრღვევად. ამასთან, ამ მხარემ მიმართოს ყველა შესაძლო საშუალებას ფორსმაჟორულ გარემოებათა შედეგების შესამსუბუქებლად. ამავე დროს, მხარეებმა ერთმანეთთან უნდა აწარმოონ კონსულტაციები ამ მემორანდუმის შემდგომი განხორციელების საშუალებებზე. ფორს-მაჟორულ

გარემოებებად ითვლება ომი, სტიქიური უბედურება, ხანძარი, მასობრივი არეულობა, აგრეთვე ხელისუფლების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები, რომლებიც ზღუდავს ან აბრკოლებს ვალდებულებათა შესრულებას.

6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე მეტი დროით გაგრძელების შემთხვევაში თითოეულ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

7. დამატებითი პირობები

7.1. მემორანდუმის საფუძველზე მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობა არ ნიშნავს რამე სახის ასოციაციის, კავშირის ან/და გაერთიანების შექმნას.

7.2. მესამე პირებთან ურთიერთობებში არცერთ მხარეს აქვს უფლება იმოქმედოს მეორე მხარის სახელით.

7.3. მემორანდუმის საფუძველზე თანამშრომლობის დამატებითი მიმართულებები და ფარგლები შესაძლებელია განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით.

7.4. წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.

7.5. მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოს მიერ.

7.6. მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

8. მხარეთა რეკვიზიტები

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი
მისამართი: თბილისი, თემქის დასახლება,
XI მკ/რ, III კვარტ. ს.კ. 402019917

დირექტორი
მანანა მოისწრაფიშვილი

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
მისამართი: გორი, ცხინვალის გზატკეცილი,
მე-3 კმ. ს.კ. 218083222

რექტორის მ/შ, პოლკოვნიკი
მამია ბალახაძე